საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 12601/01
07/12/2021

12601-01-2-202112071220

შპს „ჯეუ გრუპს“

მის: ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი N2, შენობა N1

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 5 ნოემბრის N19812 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ადიგენის მუნიციპალიტეტში, სამსხვრევი დანადგარის (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) მოწყობასა და ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- სიტუაციურ რუკაზე მოცემულია ორი სალექარი, თუმცა სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ინფორმაცია მხოლოდ ერთი სალექარის შესახებ;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, წყალაღება დაგეგმილია სატუმბი სადგურით, რომლის შესახებ ინფორმაცია მოცემული არ არის. ასევე, არ არის განხილული, როგორ მოხდება წყლის მიწოდება სატუმბი სადგურიდან საპროექტო ტერიტორიამდე;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, სალექარიდან წყლების ჩაშვება მდ. ქვაბლიანში მოხდება გამყვანი არხით, რომლის შესახებ ინფორმაცია არ არის მოცემული;
- სკრინინგის განცხადებაში განხილული არ არის სანიაღვრე წყლების მართვის საკითხები;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნას. დასაზუსტებელია მოსახსნელი ნიადაგის სიღრმე და მოცულობა;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის საწარმოს ტექნოლოგიური სქემა;
- დასაზუსტებელია სამსხვრევი დანადგარის მოდელი და სხვა პარამეტრები;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, ტექნოლოგიურ პროცესში წყალაღება გათვალისწინებულია მდ. ქვაბლიანიდან. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს წყლის აღების ჯერადობა და პერიოდულობა (თვეების მიხედვით);
- წარმოდგენილი არ არის საწარმოს ტერიტორიაზე ნედლეულის შემოტანისა (ნედლეულის ტრანსპორტირების საკითხები) და დასაწყობების საკითხები;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ „საწარმოში სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება ხდება სველი მეთოდით და მტვრის გამოყოფა

მნიშვნელოვნად იქნება შემცირებული. აქედან გამომდინარე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების ნორმირებულ მაჩვენებლებზე გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის.“ წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების გაანგარიშების შედეგები უახლოეს საცხოვრებელ სახლთან. ზღვრულად დასაშვებ ნორმების გაანგარიშების დროს ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ბეტონის კვანძი;

- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ „საწარმოს განთავსების ადგილისა და მისგან მოსახლეობის დაშორების გათვალისწინებით ხმაურის უარყოფითი გავლენა მინიმუმამდეა შემცირებული“. წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია ხმაურის დონეების გაანგარიშებისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მიღებული ხმაურის კოეფიციენტის შესახებ, ასევე საქართველოს მთავრობის №398 დადგენილებით განსაზღვრულ „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ ტექნიკურ რეგლამენტთან თავსებადობის საკითხები;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს „მდინარის კალაპოტიდან დაახლოებით 20 მეტრის სიმაღლეზე“. წარმოდგენილი საკადასტრო კოდის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ მიწის ნაკვეთიდან უახლოესი მანძილი მდ. ქვაბლიანამდე შეადგენს 9 მეტრს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებული უნდა იქნეს მანძილი საწარმოს ტერიტორიიდან მდინარემდე, ასევე, გათვალისწინებული უნდა იყოს „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 დეკემბრის დადგენილებასთან თავსებადობის საკითხები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, გადამუშავებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე